

აქტინიდიის კვლევის შედეგების შესახებ

ტექნიკური შეცნობებითა და დოკუმენტაციით

ტექნიკური შეცნობებითა და დოკუმენტაციით

ინჟინერ-ტექნოლოგი

მუშაობა მუშაობაში - ასპირანტი

წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
კვლევის და ვალერიან ცანავაძის, სუბტროპიკული კულტურათა და ჩაის
მეცნიერების სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება

საქართველოში ახალი ხეხილოვანი კულტურის აქტინიდიის განაშენიანების
მასშტაბები აღსატურებს იმას, რომ ახალი საუკუნის დასაწყისში იგი ერთ-ერთ
მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში.
მიუხედავად იმისა, რომ ეს კულტურა უძველესია და მისი ნაყოფები ძველთაგანვე
განთავსებულია, როგორც საკვებად ასევე პროფიტაქტიკური და სამკურნალო
დანაშაულებისამებრ, საქართველოში შემოტანილმა და გაშენებულმა აქტინიდიის
მცენარე, რომლის ორგანიზატორია ჩაის, სუბტროპიკული კულტურათა და ჩაის
მეცნიერების სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება, დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც
პრაქტიკული, ასევე მეცნიერული თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია საქართველოში გაშენებული აქტინიდიის
ნაყოფებისა და ფოთლების ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებათა კვლევის შედეგები და მათი
გამოყენების რეკომენდაციები. კვლევის პროცესში სათანადოდ აღებული იქნა
ტექნიკური სიმწიფის მქონე მოკრეფილი ნაყოფები და მცენარის მწვანე ოპერაციის
შედეგად მიღებული ფოთლები და ღეროები.

ცხრილ პირველში მოტანილია აქტინიდიის ნაყოფების კვლევის შედეგები

ცხრილი 1

აქტინიდიის ნაყოფის ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობა

საკვლევი ნივთიერებათა დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1. წყალში ხსნიდი ნივთიერებები	%	16,00
2. იოდის შემცველობა	მგ %	34,00
3. ვალერიანის მჟავის შემცველობა	%	1,15

პირველ ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აქტინიდიის ნაყოფები
საკმაო რაოდენობით შეიცავს იოდსა და ვალერიანის მჟავას. აღსანიშნავია, რომ იოდის
შემცველობა აქტინიდიის ნაყოფებში მრავალი მეცნიერის მიერ იქნა გამოკვლეული და
აღიარებული (1,2,3.), მაგრამ რაც შეეხება ვალერიანის მჟავას მისი შემცველობა
აქტინიდიის ნაყოფებში ამჟამად არსებული სამამულო და საზღვარგარეთის
ლიტერატურულ სამეცნიერო წყაროებში არაა ცნობილი. ფაქტურად მოცემული
კვლევის საფუძველზე პირველად ვადასტურებთ აქტინიდიის ნაყოფებში ვალერიანის
მჟავის არსებობას.

მეორე ცხრილში მოცემულია აქტინიდიის მცენარის მწვანე ოპერაციების შედეგად
მიღებული მწვანე მასის კვლევის შედეგები.

მწვანე ოპერაციის შედეგად მიღებული აქტიურობის ფოტოებისა და ღეროების ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობა

ნიმუშის დასახელება	ნივთიერებათა დასახელება		
	წყალში ხსნადი ნივთიერება, %	იოდის შემცველობა, მგ%	ვალერიანის მჟავას შემცველობა, %
1. ახალი ფოთოლი	24,00	68,00	0,20
2. გაშვებული ფოთოლი	23,50	58,00	0,25
3. ნახი ღერო	22,00	67,00	0,25
4. გაშვებული ნახი ღერო	21,00	60,00	0,30
5. უხეში ღერო	17,00	35,00	0,09
6. გაშვებული უხეში ღერო	15,50	25,00	0,12

მეორე ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ აქტიურობის ფოტოები და ღეროები ისევე როგორც ნაყოფები შეიცავს იოდსა და ვალერიანის მჟავას. ვალერიანის მჟავას არსებობა აქაც პირველად დაფიქსირებული.

ორთავე ცხრილის მონაცემების მიხედვით აქტიურობის მცენარე წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმის არსებობისათვის საჭირო ისეთი ძვირფასი ნივთიერებების წყაროს, როგორიცაა იოდი და ვალერიანის მჟავა, რომელთა დეფიციტი აღიარებულია კვლევის სამედიცინო სამსახურის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ კულტურის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების საკითხები მეტ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ყურადღებას მოითხოვს.

შრომაში მოტანილი ზოგიერთი ქიმიურ ნივთიერებათა კვლევა დაედო საფუძვლად აქტიურობის ნაყოფებისა და ფოთლების ბაზაზე დაგეგმუშავებინა სხვადასხვა სახის ექსტრაქტებისა და კონცენტრატების მიღების ტექნოლოგიები. აღმოჩნდა, რომ ჩვენ მიერ დამუშავებული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს მაღალი ხარისხობრივი და ბიოლოგიური თვისებების მქონე პროდუქტების მიღებას, რომლებშიც მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნება იოდისა და ვალერიანის მჟავის შემცველობა.

რეკომენდაციას ვამდებთ აქტიურობის ბაზაზე დამზადებული ექსტრაქტების გამოყენებულ იქნას, როგორც სხვადასხვა სახის კვების პროდუქტების გასამდიდრებლად, ასევე სამკურნალო და პროფილაქტიკური დანიშნულებისათვის.

მოცემული საკითხებისათვის დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს დახმარებისათვის შეუძლია მიმართოს ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის-მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ახალი პროდუქტების განყოფილებას.

ლიტერატურა

1. მ. პაპაშვილი, მ. წილოსანი. აქტიურობის ნაყოფების ბიოქიმიური გამოკვლევა. თურნალი „სუბტროპიკული კულტურები“ № 1-2, 1993 წ., გვ. 95-98.
2. გ. ძნელაძე, გ. ფრუბე. შავი ჩაის შაქარიანი თხევადი კონცენტრატის გამოღობა ჩინური აქტიურობისა და ფეიხოას ნაყოფების დამატებით. „ახალგაზრდა აგროიკოს მეცნიერ მუშაეთა და ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული“. თბილისი 1999 წ., წიგნი II, ტომი II, გვ. 199-203.
3. ვ. ცანავა, ი. გაფრინდაშვილი, ზ. ძნელაძე, ე. მურცხვალაძე. აქტიურობის ნაყოფების შესაძლებლობა მედიცინაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“. 1999 წ. №6, გვ.57-58.

Результаты исследования актинидии

Зураб Дзnelадзе -- доктор технических наук

Инга Гаприндашвили -- кандидат технических наук

Гоча Дзnelадзе -- инженер-технолог

Жужуна Мурцхваладзе -- аспирант

Научно - производственное объединение чая, субтропических культур и чайной промышленности

Резюме

Впервые авторами статьи зафиксировано содержание валериановой кислоты в плодах и листьях актинидии. Разработанные технологии получения экстрактов из плодов и листьев актинидии, рекомендуется как для обогащения пищевых продуктов, так и для лечебно-профилактического применения.

Results of actinidia research

Zurab Dzneldze - doctor of technical sciences

Inga GaprindaSvili - candidate of technical sciences

Gocha Dzneldze - Engineer-technologist

Zhuzhuna Murtskhaladze - postgraduate

Scientific-research institute of tea, subtropical crops and tea industry

Summary

For the time by authors of article was stated the fact of valeric acid content in Actinidia's fruits and leafs. Worked out technolyes for receiving of extracts from Actinidia's fruits and leafs recommended as for the enrichment of food products so as for medical-prophylactic meanings.